რევაზ ლორთქიფანიძე

Revaz Lordkipanidze

Реваз Лордкипанидзе

მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები გლობალური კონკურენციისა და კიბერტექნოლოგიების ეპოქაში

World economy's perspectives in era of global competition and cyber-technologies

Перспективы мировой экономики в эпохе глобальной конкуренции и кибер-технологий

თბილისი

2014

მეცნიერული შრომა „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები გლობალური კონკურენციისა და კიბერტექნოლოგიების ეპოქაში“ მომზადებულია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის (სპეციალიზაცია: ეკონომიქსი; მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის - რევაზ ლორთქიფანიძის მიერ და განკუთვნილია ეკონომიკური პრობლემატიკით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველისათვის.

რედაქტორი მეცნიერ-ეკონომისტი დავით ჩლაიძე

რეცენზენტი მეცნიერ-ეკონომისტები: სლავა ფეტელავა, ლელა აფციაური

მსოფლიოში მიმდინარე ურთულესი ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, შრომა ეძღვნება იდეას ყველა კონტინენტის ქვეყნების ისეთი ნებაყოფლობითი კავშირის შექმნის თაობაზე, რომელიც, გაეროს ორგანიზაციულ სტრუქტურასთან ერთად, მეტად ეფექტიანად იქნება მოწადინებული გარემოს, ჯანდაცვითი და გლობალური კრიმინალის (მ.შ. ტერორიზმის) მზარდი პრობლემების წინააღმდეგ, რაც სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებსაც უფრო ეფექტიანად დაიყვანს მინიმუმადე.

In conditions of difficult world economic processes, author of the work proposed the idea of creating such voluntary union of countries of all continents, who, with organization structure of UN, will aim to solve global environment, health and crime (including terrorism) problems and more efficiently minimizes conflicts between states.

В сложнейших условиях мировых экономических процессов, автором труда предложена идея создания такого добровольного союза стран всех континентов, который, вместе с оганизационной структурой ООН, будет стремиться решить глобальные проблемы окружающей среды, здравоохранения и преступности (в т.ч. терроризма) и более эффективно минимизирует конфликты между государствами.

ISBN 978-9941-0-6633-7

უბედნიერეს ეპოქაში შევა კაცობრიობა, თუ, მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებული უმძიმესი ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, პროგრესულად გავიაზრებთ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. ინტერნეტქსელის დახმარებით, მსოფლიო ერთ დიდ ოჯახად იქცა და შესაძლებელია საუკეთესო ცოდნისა და სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების უსწრაფესად გაზიარება, რაც განუზომლად დიდი სიკეთეა. პროგრესული აზრის გადაადგილებას არ აქვს საზღვრები, თუმცა აღნიშნულს ძალზე მტკივნეულად აღიქვამს არაკეთილსინდისიერი კონკურენტები სხვადასხვა ქვეყანაში. ამგვარი კონკურენტების წინააღმდეგობა დროებითი და ძალზე ხანმოკლე იქნება, თუ ადამიანები უფალს მეტად გულწრფელად აღიარებენ.

ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, პირველყოფილი ადამიანის ეპოქიდან დაწყებული, სხვადასხვა დაუკავშირებელი კონტინენტის ლოკალური ბაზრებიდან საერთაშორისო ვაჭრობის ეპიზოდური გააქტიურების, მრეწველობის რევოლუციური პროგრესისა და მომსახურების სფეროს გაჯერების ხანგრძლივი სტადიები განვლო და, მსოფლიო ეკონომიკად ჩამოყალიბების პირობებში, ჩემი აზრით, ეფექტიანი კიბერტექნოლოგიების სტადიაზე გადადის, თუმცა მსოფლიოს ცალკეული მნიშვნელოვანი მასშტაბის ტერიტორიები ჯერ საწყისი სტადიების უზრუნველყოფასაც ვერ ახერხებს, რაც ინტელექტუალური ძალისხმევის გლობალურ გაერთიანებასა და განსაკუთრებულ საყოველთაო მხარდაჭერას საჭიროებს.

ჩემი აზრით, ეფექტიანი კიბერტექნოლოგიების სტადიაზე საზოგადოების, ცოცხალი ორგანიზმებისა და ტექნიკის ისეთი გააზრებული მართვა უნდა წარმოებდეს, როცა, ამ მიზნით, ინფორმაციის დაგროვება-გაზიარება მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიმდინარეობს.

ადამიანი, გაჩენის დღიდან, ძალიან ბევრს ფიქრობს, როგორ იცხოვროს უკეთ, მაგრამ ხშირად ის მაინც მცდარ დასკვნებს აკეთებს. მსოფლიოს დარგობრივი სტრუქტურა საკმარისად სრულყოფილია რეგიონულთან შედარებით (რაშიც მათემატიკური ალგორითმებიც გვარწმუნებს), ამდენად, მთავარია, რომ ადამიანებმა შეიგნონ, რომ კეთილსინდისიერმა გლობალიზებამ, ძალდატანებითი პოლარიზებისა ან

საპირისპიროდ გამოთანაბრების გარეშე, მაქსიმალურად ბუნებრივად უნდა შეამციროს მკვეთრი რეგიონალური განსხვავებანი ეკონომიკაში და, თუ მოხერხდება, რომ ღარიბი რეგიონები არ გვყავდეს, დარგობრივი სტრუქტურაც უფრო სრულყოფილი იქნება.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, რომ არაკეთილსინდისიერ მიდრეკილებებს არამხოლოდ გავლენიანი მონოპოლიები ავლენს. ბოროტი მომხვეჭელობისადმი მიჯაჭვულობას, როგორც მდიდარი, ასევევ ღარიბი ადამიანი შეიძლება ავლენდეს და, ამდენად, გლობალიზების ეპოქაში გვეძლევა საშუალება და საერთშორისო ანტიმონოპოლიური მექანიზმები შესაძლოდ საყოველთაოდ უნდა მოქმედებდეს.

გლობალიზების ეპოქაში ერთიანი ბაზრის ყოველი მონაწილე სუბიექტისადმი მოთხოვნებიც, როგორც ცნობილია, არსებითად გაიზრდება და, შედეგად, სიცოცხლის ხარისხიც არსებითად და მასიურად უნდა გაუმჯობესდეს.

ციკლურობის მიუხედავად, კაცობრიობა, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურად ვითარდება და ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ადამიანთა საზოგადობის ტექნოლოგიურ-ეკონომიკური მოწყობის ევოლუციაა. აღნიშნულ პროცესებზე, ბუნებრივია, გარკვეული სუბიექტური (მ.შ. სოციალური და ინდივიდუალური) ფაქტორებიც მოქმედებს, მაგრამ სიღრმისეული მიზეზი - ობიექტური ნებაა, რის ახსნასაც, შეძლებისდაგვარი თანმიმდევრობით, ვეცდები ამ მეტად აქტუალურ საკითზე ჩემს წარმოდგენილ შრომაშიც.

საკითხის განხილვა საზოგადოების ინსტიტუციონალური საუძვლებიდან მინდა დავიწყო. დირექტიული დაგეგმვის სისტემის ყოფილი ათეისტური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ზოგმა „რეფორმატორმა“ რატომღაც გადაწყვიტა ხელაღებით დაპირისპირებოდა ყველაფერს, რაც კი სახელმწიფოს ახლავს, მ.შ. სახელმწიფო საკუთრებასა და უკვე რეკომენდაციული ხასიათის ე.წ. ინდიკატურ დაგეგმვას. არადა, უფალმა სახელმწიფო იმიტომ შექმნა, რომ თავისი გარკვეული ადგილი ჰქონოდა ყოველთვის. ეკონომიკის განვითარებისა და განსაზოგადოების ხარისხის ზრდასთან ერთად კი, სახელმწიფოს როლიც მნიშვნელოვნად მატულობს (ჩემი მოსაზრებით, ეს

როლი გარკვეულ ზღვარზე წონასწორულად გაჯერდება, შემდგომშიც, ბუნებრივად შესაძლო რხევების შესაძლებლობის შენარჩუნებით).

სახელმწიფოს როლი, ბუნებრივია, მატულობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აჩქარების პროცესებიდან და მოტივებიდან გამომდინარეც, ვინაიდან მნიშვნელოვან სფეროებში, მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააფინანსოს ძვირადღირებული გრძელვადიანი პროექტები, რასაც მოკლევადიან პერიოდში მოგება არ მოაქვს და კერძო სექტორი არ და ვერც შებედავს მის დაფინანსებას. არადა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საზოგადოებასა და მისი ცხოვრების დონის განმაპირობებელ მეცნიერულ პოტენციალს სწორედ ასეთი დარგები სჭირდებოდეს განსაკუთრებით. მაგალითისათვის, მძიმე და ჯერ-ჯერობით უკურნებელ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები, კოსმოსური კვლევები, სტრატეგიული თავდაცვითი სამხედრო იარაღის წარმოება და სხვა.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, პოსტკრიზისულ მსოფლიოში სოციალური ეკონომიკის აქტუალობას მისი უკიდურესი მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ. შესაბამისად, ჩვენი აზრით, სულ უფრო აქტუალური გახდება ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების გააზრება, ვინაიდან, მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით დანახულმა „ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა“ კაცობრიობა ურთულესი პრობლემების ჩიხში შეიძლება შეიყვანოს.

რწმენის საკითხებზე არ კამათობენ და, ჩემი ურყევი რწმენით, აღდგომის სანთლები და ბევრი სხვა სასწაული თვალსაჩინოდ მეტყველებს უფლის არსებობასა და ქრისტიანული საფუძვლების მნიშვნელობაზე, მათ შორის ადამიანების მიწიერი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკაშიც.

პროფესიულად ეკონომიკისა და მართვის საკითხებზე ვმუშაობ უკვე კარგა ხანია და მიღებული გამოცდილებით, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა ყალიბდება - უკიდურესად ცუდია, როცა ადამიანს მანიაკალურად უნდა მმართველობა (სხვაზე უფროსობა) - ეს ადამიანი ამპარტავანია და, როგორც ვიცით, ძალზე მძიმედ დაისჯება უფლის მიერ, ამიტომაც, ადამიანს მხოლოდ უფლის სიყვარულით კარგ მამასავით (ან

დედასავით) უნდა უნდოდეს სხვებზე უფროსობა და ამისათვის თავდადებაც შეეძლოს - მხოლოდ ასე შეერგება მას მართვისას მიღებული შემოსავალი.

გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე შრომა კონკურენციის მნიშვნელობის შესახებ [მ.შ. 19; 20; 30] სოციალური ეკონომიკის განვითარებისათვის და აღნიშნულიც უფლის სასწაულებს - ობიექტურ ნებასა და მის კანონზომიერებებს უკავშირდება ეკონომიკური პრაქტიკის სხვადასხვა გამოვლინებაში.

თუ ბუნების კანონები ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ეს ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს, ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკური კანონზომიერებანი ხომ, ერთი შეხედვით, ადამიანთა სრულებით შემთხვევითი თაობების მიერ ყალიბდება, მაგრამ ეს ასე არ არის და, გვინდა თუ არა, მრავალი შემთხვევით სუბიექტის მიერ გამოწვეული და სხვა კრიზისული ციკლის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ადამიანთა მწარმოებლურობის ზრდის ობიექტური კანონზომიერება, მაგალითისათვის, განუხრელად მოქმედებს, შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრება უმჯობესდება, რაშიც მთავარ მამოძრავებელ იმპულსად კონკურენტული წინააღმდეგობები გვევლინება.

ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. ეკონომიკის სტიმულების მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით გააზრება არასაკმარისი აღმოჩნდა და მატერიალურ-სტრუქტურული ფაქტორების გააზრებისას, არასრულფასოვანი ეკონომიკური ზრდის სულიერ მიზეზებზეც უნდა დავფიქრდეთ. ეკონომიკა მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების სფეროა, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასაც, როგორც სამყაროს მთლიანად, სულიერი საფუძვლები წარმოშობს. ამჯერად, შევჩერდები ამ საფუძვლების რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

კარგა ხანია, ეკონომიკური ზრდის ქრისტიანულ საფუძვლებს ვიკვლევ [მ.შ. იხ. 21] და, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიანობისათვის ამ მთავარი საფუძვლის დაუნახავ ოპონენტებს თვალები აეხილოთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში განმეორებადი ჭეშმარიტი სასწაულების მოხმობით.

სასწაული, ჩვენი გაგებით, არის ყოველივე ის, რომლის არსიც შეუცნობელია (გაუგებარია) ანუ ამ ეტაპზე მიუწვდომელია ადამიანის ცნობიერებისათვის.

სასწაულს ზოგიერთი უკავშირებს ადამიანისათვის მხოლოდ უჩვეულო (არახშირ, არაკანონზომიერ) მოვლენას. მაგალითად, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, ე.წ. ზებუნებრივი უნარი გამოამჟღავნა ისრაელის მოქალაქე ური გელერმა, რომელიც ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციის შედეგად, ყოველგვარი ფიზიკური კონტაქტის გარეშე, ღუნავდა და ტეხავდა კიდეც კოვზებს, ჩანგლებს და სხვა მსგავსი ზომის საგნებს [22, გ. 57].

საბედნიეროდ, ადამიანი დაინტერესებულია ამოიცნოს შეუცნობადი სასწაულების საიდუმლოებანი და კეთილი მიზნებით განავითაროს მეცნიერება და ტექნიკაც, რის შედეგად, თუ, მაგალითად, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის, ადამიანის თვითმფრინავით გადაფრენა სასწაულად შეიძლება ჩაეთვალათ, დღეს იგი ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავალი ადამიანი, ეჩვევა რა და მყისიერად ივიწყებს უფლისგან ბოძებულ მრავალ სასწაულს, ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს წელიწადის დროების ზუსტ ციკლურობას, მზის ნათებას, ადამიანის დაბადებასა თუ ნიჭიერებას და, რაღა თქმა უნდა, უფლის აღდგომასა და აღდგომის სანთლებისა და სხვა მრავალ ყოველდღიურ სასწაულს.

მოვიხმობ კიდევ ერთ უბრალო სასწაულს ცოცხალი არსებების ინსტიქტური მოქმედებებიდან, რაც ზებუნებრივი ძალის არსებას ადასტურებს:

იაპონელი მეცნიერი იამამოტო ჰიროუკე, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, ადგენს, რომ გადამფრენი ჩიტების გუნდს, ხშირ შემთხვევაში, მეთაურად ახალდაბადებული ფრინველი მიუძღვის, რომელიც მხოლოდ გადაფრენის წლის ზაფხულში იბადება და, რომელმაც, ბუნებრივია, არ შეიძლება იცოდეს გადაფრენის გზის ახალი პოზიციები და ტრადიციული მარშრუტი, თუმცა ის ამას (მეთაურობას) უშეცდომოდ ახერხებს [23, გ. 91].

ჩემი მოსაზრებით, ეკონომიკური ციკლურობის სასწაულში გარკვეული სპეციფიკა მინდა დავინახო ბუნების (მ.შ., მაგალითად, წელიწადის დროების) ციკლურობასთან (ზუსტ განმეორებადობასთან დღე-ღამისა და ზამთარ-ზაფხულის მონაცვლეობაში, რაც

მხოლოდ ზებუნებრივი ძალებით შეიძლება აიხსნას) შედარებით. ეკონომიკურ ციკლებს სრულებით შემთხვევითი სუბიექტები (ადამიანები და არა, ერთი შეხედვით, ზებუნებრივი ძალა) წარმოშობენ, მაგრამ ციკლები მაინც კანონზომიერად ვლინდება - ხანგრძლივ ზრდას გარკვეული ვარდნა მოჰყვება, შემდეგ ისევ ზრდა და ა.შ., მაგრამ ეკონომიკურ ციკლურობას, ბუნების ციკლურობისაგან განსხვავებით, ახასიათებს არაიდენტური, არამედ საფეხურებრივი განმეორებადობა ახალ (მზარდ) სიმაღლეზე, რაც, კრიზისების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, განსხვავებული ეპოქის ადამიანის ცხოვრების დონის მატებით (გაუმჯობესებით) არის გამოხატული.

ჩემს ადრინდელ კვლევაში [21] ავსახე და, შემდგომი განვითარების მიზნით, შემდგომ შრომებში საუბარი მქონდა ფიზიკოსი გეორგ ომის ე. წ. დენის ძალის კანონზე [26; 27], რომელიც, სიზმრად სასწაულებრივი ხილვის შედეგად, ე. წ. ეკონომიკური კონკურენციის კანონის ინდექსებშიც გამოიხატა [21, გვ. 31-34]. სასწაულია და მორიგი ხილვის შემდეგ, ეს ინდექსები მათემატიკოსი მარტინ ომის ოქროს პროპორციას [28; 29] დაუკავშირდა.

ოქროს პროპორციის შეხახებ ადრეც გამეგო. მასზე, ჯერ კიდევ პლატონიდან დაწყებული, კაცობრიობის მრავალ დიდ მოაზროვნეს უფიქრია. ოქროს კვეთა (ოქროს პროპორცია) გულისხმობს მთელის ისეთ დაყოფას ორ არატოლ ნაწილად, როცა მთელი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი მცირეს. ეს პროპორცია დაახლოებით 1,62-ია (მიახლოებითი მნიშვნელობა იმიტომ მომყავს, რომ მისი ჩანაწერი უსასრულოა 1, 6180339...) და ის მთელს ყოფს ორ ნაწილად, რომელთაგანაც დიდი ნაწილი მთელის დაახლოებით 62%-ია, მცირე ნაწილი კი - მთელის 38%. სიზმარი სიზმრად, მაგრამ ოქროს პროპორცია ფლობს უნიკალურ მთემატიკურ თვისებებს და ის ერთგვარი რაციონალური აგებულების საზღვრების საფუძველია ადამიანის პროპორციებსა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვან მეცნიერულ გაანგარიშებებში, მ.შ. არქიტექტურაში, გეოლოგიაში, კიბერნეტიკაში და ა.შ.

როგორც ჩემი ადრინდელი შრომები და დაკვირვებები [30; 31 და სხვ] მაძლევს საფუძველს აღვნიშნო, ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია (არ ვარ კატეგორიული და ეს აუცილებელი არ არის და

შესაძლებელია გარკვეული გადაცდომებიც ექსტრემალურ სიტუაციებში), არ დაირღვეს ოქროს კვეთა (თანაფარდობა, პროპორციულობა) და ყველაზე დიდმა მიმწოდებელმა ბაზარზე არ უნდა გადააჭარბოს 38%-ს, შესაბამისად ბაზრის 62% (რაციონალური საფუძველი) მაინც საჭირო კონკურენტულობას უნდა ინარჩუნებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე დიდი მწარმოებელი მეტად და მეტად გამოავლენს მონოპოლიურ თავკომბალა მიდრეკილებებს, რაც საბოლოოდ საერთო ეფექტიანობის არსებით შემცირებაში გამოიხატება. საინტერესოა, რომ ამ საკითხებზე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კვლევებიც ამ პროპორციის მახლობლობაში აღნიშნავენ რაციონალურ თანაფარდობას (მაგალითად, არაკონცენტრირებული ბაზრები აშშ-ში [32] - Unconcentrated Markets: HHI below 1500, როცა ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე ფესვი 1500-დან (38,72983...) ანუ ბაზრის მაქსიმუმ დაახლოებით 38,7%-მდე შეიძლება ვრცელდებოდეს).

ქრისტიანული შედევრები (სასწაულმოქმედი ხატები და სხვა სიწმინდეები), მათზე გაწეულ "ეკონომიკურ" (მატერიალურ) ხარჯებთან შედარებით უსასრულოდ დიდ სარგებლიანობას იძლევიან კაცობრიობისათვის და, შესაბამისად, განუსაზღვრელად დიდია მათი ფასი მსოფლიო ეკონომიკისათვის. ბუნებრივია, ადამიანური აზროვნების ფარგლებს სცილდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენების ღვთის ნებით განპირობებული მაქსიმალური საზღვრის შეცნობა და მიმდინარე მიღწევები ხშირად პარადოქსულ მოვლენებს აფიქსირებს და დიამეტრალურად ცვლის შემდგომი მოქმედების მიზანდასახულობებსაც. ფასების ფარდობითობასთან, ანუ, ჩვენი განსაზღვრებით, მიმდინარე ხარჯებთან შედარებით არსებითად დიდ შედეგიანობასთან გვქონდა საქმე, მაგალითისათვის, თანამედროვე კომპიუტერის გამოგონების შემთხვევაში [31, გვ. 25-26].

ალბერტ აინშტაინის [33] ფარდობითობის თეორიის შემთხვევაში, რომელმაც პრაქტიკულად დიამეტრალურად შეცვალა მანამდე არსებული მიდგომები (რაც დღემდე ბოლომდე ჯეროვნად ამოუცნობია), განისაზღვრება, რომ მატერიის მასა მნიშვნელოვნად (რ.ლ.: უსასრულობამდე) იზრდება სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული დიდი სიჩქარეებით მოძრაობის პირობებში [34]. სამწუხაროდ,

ზოგიერთი თვლის და საკმაოდ მასშტაბურად ცდილობენ დაასაბუთონ, რომ ეკონომიკური მეცნიერება საერთოდ არ არის საჭირო და მნიშვნელოვანი პრაქტიკისათვის. ფიზიკის ეს აღმოჩენა ატომური ენერგიის განსაზღვრასაც უკავშირდებოდა და, ბუნებრივია, მისდამი ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. მაგრამ სხვა დარგის მეცნიერები, მეტწილად, ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ ისტორიულად სხვადასხვა ეპოქებში. უდიდეს პატივს მოვაგებ სპორტს და დამსახურებულ სპორტსმენებს, მაგრამ სამწუხაროდ, სპორტსმენის საშუალო ანაზღაურება მსოფლიოში დღეს ბევრად აღემატება მეცნიერის შემოსავლებს, რაც თავად სპორტზეც უარყოფითად აისახება. აინშტაინის დარი აღმოჩენები ფიზიკაში და საერთოდ მეცნიერები და მათ შორის მეცნიერ-ეკონომისტების საჭიროება და მნიშვნელობა თუ გადავაფასეთ, ეკონომიკაც მხოლოდ პრიმიტიული ანგარიშიანობის არაშორსმხედველი და საბოლოოდ დიდი ცდომილებების საგანი გახდება. თუმცა, ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ ელემენტარულიდან რთულისაკენ ეტაპობრივად განვლილი გზა არ დავინახოთ და არ დავაფასოთ. ჩემი აზრით, ალბერტ აინშტაინი მართლა განსაკუთრებული მასშტაბების დიდი გენიოსია, რომელიც, მისი, როგორც შესაბამისი ეპოქის ადამინის, აზროვნების შესაძლებლობათა ფარგლებში, უპირველესად, უფლის მოქმედებას ხედავდა გენიალურად. მან, არსობრივად შეცვალა რა ნიუტონის კლასიკური მექანიკის მიდგომები, მაინც თავმდაბლად აღნიშნავდა ნიუტონის თეორიის დიდ მნიშვნელობასაც, რომელიც, ფაქტიურად, მხოლოდ მიახლოებას წარმოადგენდა აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან მცირე სიჩქარეებით მოძრაობის პირობებში. აინშტაინის თეორიის არგუმენტაციით, მასა ისეთივე ფარდობითი სიდიდეა, როგორც სიჩქარე, დრო და მანძილი. ასეთივე ფარდობითია ფასიც ეკონომიკაში და, ამდენად, მისი (ფასის) მხოლოდ დანახარჯებზე (დროით თუ მატერიალურ) პრიმიტიული დაყვანა, დიდ ცდომილებებთან მიგვიყვანს საბოლოო ჯამში. ამასვე ადასტურებს ჩვენი შრომის მე-3 ნაწილში აღნიშნული მცირე დანახარჯებით შექმნილი სასწაულმოქმედი ხატების შეუფასებელი სარგებლიანობის გააზრებაც.

ადამიანის სიცოცხლე უფლის მიერ არის მონიჭებული და ეს ყველას კარგად უნდა ახსოვდეს. დიდია მედიცინის მნიშვნელობა, მაგრამ უფლის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია (შეუფასებელია). ბუნებრივია, უფლის ნებით, არის შემთხვევები, როცა წმინდა ცხოვრებით მოღვაწე ადამიანი ადრე მიდის წუთისოფლიდან, მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი ადამიანების ჯანმრთელობა მართლა სასწაულებრივად საუკეთესოა. ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი (უფლის მონიჭებული) პროდუქტებით მკვებავი ადამიანების მისამართითაც.

სამედიცინო მეცნიერების მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად, დიდია და, რა თქმა უნდა, იზრდება, მაგრამ, მის მზარდ აქტუალობასთან ერთად, სამწუხაროდ, მატულობს ამ სფეროს სახიფათო მაქინატორთა რიცხვიც. ეს რიცხვი თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და აერთიანებს კრიმინალურ "სასწაულმოქმედ" ნარკობარონებს, ადამიანების გაჭირვებით მოსარგებლე სხვადასხვა "პროფესიონალ" გამომძალველებს, ათასგვარი შენიღბული ხერხებით მჩხიბავ ექიმბაშებს, არაპროფესიონალ "სახალხო" მკურნალებს და სხვა მრავალ ავანტიურისტს, რაზეც აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მონიტორინგი ყველა ქვეყნის სამართალდამცავთა ჩართულობითა და ჯანდაცვის შესაბამის პროფესიონალთა მონაწილეობით.

ჩვენს შრომებში [მ.შ. იხ. 35] მადლიერებით აღვნიშნავთ იმ ქვეყნებს, რომლებიც მზრუნველი პოლიტიკით ზრდიან ხარჯებს მედიცინაზე, მაგრამ, ბევრი ადამიანი მსოფლიოში ჯერ კიდევ ელემენტარული დახმარების გარეშეა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურად მდიდრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ადამიანთა რიცხვიც მატულობს, ვინც სამედიცინო პრობლემებს ვერ უმკლავდება. საზოგადოების კარგი ჯანმრთელობის დონე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს შემოსავლებზე, მაგრამ სახელმწიფოს გონივრული პოლიტიკის გარეშე, საზოგადოების ცხოვრების გახანგრძლივებამ, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და, საბოლოოდ, ადამიანების შემოსავლებზე. ასე, მაგალითად, თუ საპენსიო ასაკზე მეტი ხნოვანების მოსახლეობის ხვედრიწონა მატულობს, იზრდება ხარჯებიც იმ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტიურად არაფერს ქმნიან. ასეთ შემთხვევაში,

სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის მიდგომას საპენსიო ასაკის ზრდის მიმართულებით, რათა, თუ ადამიანებს შეუძლიათ, მათ მიეცეთ საშუალება მეტი იმუშაონ.

უფალმა განსხვავებული კლიმატური პირობები და რესურსული ბაზა დაუწესა ქვეყნებს და შესაბამისად ყალიბდება ეროვნული სახასიათო ქცევის წესები ეკონომიკაში. საყურადღებოა, რომ ისინი, ვინც არ არიან განებივრებულნი საუკეთესო კლიმატური პირობებით და ცხოვრობენ ცივ და ძალზე ცივ სარტყლებში ან სეისმურად აქტიურ ზონებში, იძულებულნი არიან მეტად მობილიზებულნი იყვნენ და, ხშირ შემთხვევაში, კონკურენტულობის დონის მაღალ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციებში, ვეცდები, მოვიპოვე მაქსიმალურად საჭირო მონაცემები, რათა გამოვავლინოთ კონკურენტუნარიანობის ამაღლების ნიუანსები, რაც მისანიშნებელი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის. ხსენებული საკითხის არგუმენტირებული შესწავლის პროცესში, განვაზოგადებ მოპოვებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რასაც, თავის მხრივ, კონკურენციის ძალის ჩემს მიერ შემოთვაზებული ინდექსების [21, გვ. 32] განსაზღვრისათვის გამოვიყენებ. ამასთანავე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში (რის გარეშეც არ არსებობს ბაზარი) კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, დავამატებ ექსპორტის იმპორტთან შეფარდების ინდექსებს (ასევე ჩემი შემოთავაზებული ახალი ინტერპრეტაციით), რაც, ჩემი აზრით, შესაძლოდ მარტივად, მაგრამ თვალსაჩინოდ შეავსებს კონკურენტუნარიანობის აუცილებელი შეფასების (გააზრების) რთულ (მრავალმხრივ) მექანიზმს გლობალიზაციის ურთულეს პროცესებში.

კონკურენტუნარიანობა, ჩემი აზრით, მიზნაშეწონილია შეფასდეს 2 ჯგუფად ბაზრისა და ქვეყნების (კომპანიების) სპეციფიკების გათვალისწინებით, მ.შ. ჩვენ შევაფასებთ კონკურენციის ძალას (კონკურენტუნარიანობას) ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზარზე და კონკურენტუნარიანობას ცალკეული ქვეყებისა და კომპანიების სინამდვილეში. განვიხილოთ აღნიშნული ჯგუფები შესაძლოდ დეტალურად.

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზრებზე კონკურენტულობის დონის განსაზღვრისათვის, როგორც ცნობილია, HHI ინდექსს გამოიყენებენ. ეს დონე თუ 1500-ზე ნაკლებია, არაკონცენტრირებულ ბაზრებთან გვაქვს საქმე, თუ 1500-ს გადააჭარბებს - საშუალოდ კონცენტრირებულ ბაზრებთან და თუ 2500-ს გადააჭარბებს - მაღალკონცენტრირებულ ბაზრებთან, რაც განსაკუთრებით სახიფათოა. მსოფლიო ეკონომიკის მაგალითების საფუძველზე, გასათვალისწინებელია, რომ, ჩემი დაკვირევებითა და ექსპერტული შეფასებით, ხსენებული ინდექსი, გასაგები მიზეზების გამო, შედარებით მაღალია მძიმე მრეწველობასა (ძირითადად წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები, მ.შ. სამთო-მოპოვებითი ინდუსტრია, მეტალურგია, მანქანთამშენებლობა და სხვ.) და მასთან დაკავშირებულ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, განსაკუთრებით დაბალია კი კვების მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობაში, ხისდამამუშავებელ მრეწველობაში და სხვ.

თუ ერთგვაროვან ბაზარზე (მ.შ. საერთაშორისო მასშტაბით) სამი სუბიექტი (მაგალითისათვის, ხვედრითი წონებით 20%, 30% და 50%) ხატავს კონკურენტულობის სურათს, ჰერფინდალ-ჰირშმანის და ჩვენი ინდექსები ავლენს, რომ ბაზარი ძალზე კონცენტრირებულია (ანუ კონკურენტულობის დონე მცირეა). ხსენებული სამი პროცენტული მაჩვენებლის კვადრატების შეკრება გვაძლევს, რომ HHI აღწევს 3800-ს (რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2500-ს), ხოლო ჩვენი მეთოდოლოგიით, კონკურენციის ძალის I_1 ინდექსი 2-მდე ეცემა (ანუ R_1-ის მნიშვნელობა ბაზრის ტევადობის ნახევარს აღწევს) და ინტეგრალური მაჩვენებლის განსაზღვრისათვის დამატებითი სტატისტიკური ინფორმაციაა საჭირო.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული სტატისტიკური ბაზით, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ვერც HHI კონცენრაციის დონის (რომლისადმი მოთხოვნები, ბუნებრივია, პერიოდულად იცვლება გარკვეული დიაპაზონის ფარგლებში) და ვერც ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის ძალის მაჩვენებლების განსაზღვრა.

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ რეალიზებული ექსპორტის შეფარდება იმპორტთან (სხვადასხვა ინტერპრეტაციით) ქვეყნისა და კომპანიების

კონკურენტუნარიანობის ამსახველ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ. აღნიშული ინდექსის შემადგენლები, საერთაშორისო ოფიციალურ წიგნად გამოცემებსა და ინტერნეტგვერდებზე, გარკვეული ცდომილების მიუხედავად, შედარებით უკეთაც მოიპოვება. მზარდი ექსპორტი ქვეყნის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს და მისი, ისევე როგორც იმპორტის, სტრუქტურა მრავალმხრივე მსჯელობის საგანია. ამჯერად რამდენიმე მისანიშნებელ ტენდენციაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის საერთაშორისო მონიტორინგის აუცილებლობის გააზრებისათვის გვჭირდება.

საყოველთაო დაფიქრების საგანი უნდა გახდეს, რომ საქართველოზე ტერიტორიულად და ბუნებრივი შესაძლებლობებით ბევრად მცირე შვეიცარიის ექსპორტის შეფარდება იმპორტთან 1980 წელს, ჩვენი გაანგარიშებით შედგენდა - 1,016-ს [36, გ. 244], 1995 წელს - 1,199-ს [იქვე], 2012 წელს - 1, 071-ს [38], მაშინ როცა საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს საგანგაშო 0,499-ს შეადგენს [39]. საყურადღებო და მისანიშნებელია, რომ ეკონომიკურად ჯერ კიდევ უძლიერეს ქვეყანაში - აშშ-ში, ამ მხრივ 80-იან წლების დასაწყისის სახარბიელო ტენფენცია 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის არსებითად გაუარესდა [36, გ. 244], მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩინეთში [40], რამაც, ფაქტიურად, განაპირობა ამ ქვეყნის კომპანიების მსოფლიოს უძლიერესი კომპანიების სათავეში მოქცევა [41].

მსოფლიო ეკონომიკის ზღვრული ეფექტიანობისათვის, უფლის მიერ მონიჭებული აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობების შესაბამისად, ის რესურსები, რაც ქვეყანაში უხვადაა და ხარისხიანობითაც გამოირჩევა, ბუნებრივია მეტად უნდა გადიოდეს ექსპორტზე, მაგრამ, როგორც ნათქვამია, ხელი გააქანე და გეშველებაო, ისევე, იმ რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც შესაძლებელია და მიზანშეწონილი, რომ გადამუშავდეს, ადგილზევე უნდა გადავამუშაოთ და მივცეთ დასრულებული პროდუქციისა ან მომსახურების სახე და ისე შევთავაზოთ უცხოელ პარტნიორებს. ამგვარი სახით, ქვეყნის სავალუტო შემოსულობებისა და რეზერვებისათვის საჭირო

ექსპორტიც მეტად გაიზრდება და ადგილზეც მეტი ადამიანები დასაქმედება, რაც მრავალ ეკონომიკურ საკითხს გადაწყვეტს.

რაც შეეხება იმპორტს. მართალია, მისი შემოდინებით, ქვეყნიდან ვალუტა გაედინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმპორტი არ გვჭირდება. ყველაფერში ერთნაირად კარგები ვერ ვიქნებით და ის, რაც მწვავედ დეფიციტურია ჩვენში, ბაზარი მყისიერად შეამჩნევს და ასეთი იმპორტი გვჭირდება. თუმცა, ბაზარს ახასითებს ალოგიკური მოვლენებიც და თაღლითებიც მრავლად ბუდობენ აქ. ამდენად, სახელმწიფოს კომპეტენტურმა ხელმა, საჭიროა, დაინახოს იმპორტის ის მიმართულებები, რომლებიც ცდილობს მოტყუებით განდევნოს ადგილობრივი მწარმოებელი ბაზრიდან.

თანამედროვე საქართველოში, ასეთმა იმპორტმა ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობაც კი საგანგაშოდ დაამარცხა. საბაზრო რეფორმების დასაწყისშივე აღვნიშნავდი, რომ ყოფილ ე.წ. „წითელ“ კოლეურნეობებში იყო რაციონალური მარცვალი და კოოპერაციის დადებითი მუხტი (რაც დიდ ინვესტიციებზე უფრო მნიშვნელოვანიც კია) აუცილებლად უნდა შეგვენარჩუნებინა ადგილობრივი ბაზრის გადასარჩნად (კოოპერაციას სოფლად განვითარბული ქვეყნებიც ხომ უხვად იყენებენ), მაგრამ, მაშინ გადასძლია მხოლოდ „ახლის“ მაძიებელი არასპეციალისტების მოქმედებამ. მახარებს, რომ კოოპერაციისათვის სტიმულების მნიშვნელობას ახლა ბევრი გონიერი პროფესიონალი იზიარებს, რომ მხოლოდ ასე შეიძლება აღდგეს ჩვენი სოფლები და ხეებზე და სავარგულებში ხილი არ დაგვილპეს და ეფექტიანად ავითვისოთ დიდი ხანია მოუვლელი და, ხშირ შემთხვევაში, ფაქტიურად ჯერ კიდევ უპატრონო მიწები, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მოუგვარებელია არსებითი სოციალური პრობლემები - დიდია უმუშევრობა და ბევრია უსახლკარო და უმიწა-წყლო ადამიანი.

ამასთანავე, ძალზე ყურადსაღებია, რომ ახალი ტექნიკის ცოდნის თვალსაზრისთ არაპროფესიონალმა მომხმარებელმა, რომელიც ბაზარზე უმრავლესობას წარმოადგენს, შეიძლება ვერ შეამჩნიოს ის პროგრესული უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში მრავალი წლის შემდეგ გამოიღებს

სასურველ შედეგს. ამდენად, პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტი სახელმწიფოს უპირველესი ხელშეწყობის საგანი უნდა გახდეს.

მსოფლიო ეკონომიკის ზღვრული ეფექტიანობის პერსპექტივების დასახვისათვის, გავიაზროთ, რომ მწარმოებლურობის დონე საერთაშორისო ბიზნესში, როგორც საერთაშორისო ბიზნესსუბიექტის ეფექტიანობა (პროდუქტიულობა), ზოგადი სახით, იანგარიშება საერთაშორისო გაყიდვების (პროდუქციისა და მომსახურების რეალიზების) მთლიანი მოცულობის ფარდობით დასაქმებულთა რიცხოვნებასთან. მწარმოებლურობის (პროდუქტიულობის, ნაყოფიერების) განუხრელი ზრდის კანონი მსოფლიო ეკონომიკის ერთ–ერთ უმთავრეს ზოგად ობიექტურ კანონზომიერებასაც წარმოადგენს და სწორედ ამ მაჩვენებლით ახასიათებენ სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების დონეებს. მომსახურების ბიზნესებში პროდუქტიულობის სრული შეფასებისათვის, მიზანშეწონილია, განისაზღვროს ის ირიბი ეფექტიც, რომელიც აქ მომსახურებამიღებული ადამიანების უკეთ საქმიანობას ახლავს საწარმოო ბიზნესებში.

მსოფლიო მეურნეობის დონეზე შრომის მწარმოებლურობა (პროდუქტიულობა, ნაყოფიერება) ცოცხალი და განივთებული შრომის ეფექტიანობას ახასიათებს და შეიძლება ვიანგარიშოთ მსოფლიო პროდუქტის სიდიდით, რომელიც ერთ ადამიანზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფლაგმანი ქვეყნის – აშშ–ს რეალობაში ეს მაჩვენებელი შეესაბამება ხელფასების დონეს და, ამასთანავე, არსებითად მეტი ხელფასი აქვთ იმათ, ვინც მეტი კვალიფიკაცია მიიღო. აშშ, შესაძლოა, არ არის ფეხბურთელებით სახელგანთქმული ქვეყანა, მაგრამ მის ეკონომიკაში, სადაც ამ ქვეყანამ მართლა სასწაულები მოახდინა, ნამდვილად უნდა ვეძიოთ რაციონალური მარცვლები. აქ ხელმძღვანელებად ხშირად დიდი განათლების ვიწრო სპეციალიზაციის ადამიანები ინიშნებიან და ყველაზე შემოსავლიანი ინოვაციური კომპანიები მეცნიერულ–ტექნიკური დონით გამოირჩევიან. თითქმის ანალოგიური ტენდენციებია დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ აშშ–ში ეს ყველაზე არსებითადაა გამოხატული. ღარიბი ქვეყნების ანალიზი კი აჩვენებს, რომ აქ განათლებულები უმცირესობაშია და

მათ ყველაზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ. თუ რუსეთის მეფემ პეტრე დიდმა გააძლიერა რუსეთი მეცნიერული ორიენტაციით, სსრკ–ს ნგრევის უმთავრესი მიზეზი მეცნიერების დაუფასებლობა იყო. მხოლოდ ზოგიერთ დიდ მეცნიერს აფასებდნენ საჩვენებლად, ხოლო დიდ გამოგონებებს ფიზიკაში ხშირად სულელ ხელმძღვანელებს მიაწერდნენ ხოლმე, ეკონომიკაში კი მხოლოდ მარქსი და ლენინი ითვლებოდნენ დიადებად. უმცირესობაში აღმოჩენილ ინტელექტუალებს სასაცილოებად და არაპრაქტიკულებად მოიხსენებდნენ, უფრო მეტიც, მათზე ყველაზე მეტი რეპრესიებიც ეწყობოდა, როგორც მესაკუთრეებზე და სავარაუდო მოწინააღმდეგეებზე. მეცნიერებისა და განათლებული ადამიანების წინაშე საყოველთაო მოკრძალების გარეშე, შეუძლებელია როგორც ზოგადად საზოგადოებრივი პროგრესი, ასევე ბიზნესის განვითარება და ქვეყნის რეალური ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

საქართველოში 1995 წელს განსაკუთრებით მაღალი იყო სიღარიბის დონე (ექსპერტული შეფასებით, 40%–ზე მეტი) და 2005 წლიდან განსაკუთრებით მატულობდა აღნიშნული მაჩვენებლის შემცირების ტემპი, მაგრამ შემდეგში შემცირდა და რეზერვები, ბუნებრივია, ჯერ კიდევ დიდია. დროთა განმავლობაში, საჭიროა გარკვეულად მეტი დიფერენცირებული მიდგომის შემოღება ხანდაზმული მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაში – მაგალითისათვის, მენეჯერული საქმიანობა, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, გარკვეულად მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე სპეციალისტის, ტექნიკური მუშაკის, დამხმარე თუ მომსახურე პერსონალის და, შესაბამისად, საპენსიო ანაზღაურებაც დიფერენცირებული უნდა იყოს 1:3–თან პროპორციის ფარგლებში, თუმცა, აღნიშნული მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განისაზღვროს, როცა პენსიის დონე საარსებო მინიმუმს გადააჭარბებს.

გასული საუკუნის 90–იანი წლების საქართველოს არნახული ჰიპერინფლაციის უმძიმესი მემკვიდრეობისა და ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების შედეგად, მცირე საწარმოებში პროდუქციის გამოშვებამ 2005 წელს შეადგინა მხოლოდ 397,5 მლნ. ლარი, რაც მთლიანად ბიზნეს სექტორის მხოლოდ 11,7%–ს წარმოადგენდა. ამ პერიოდისათვის, საშუალო საწარმოებმა აწარმოეს მთლიანი მაჩვენებლის ასევე მხოლოდ 10,6%, მაშინ, როცა სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული და სტატისტიკურ

გამოკვლევას დაქვემდებარებული მოქმედი საწარმოების მთლიან რაოდენობაში მსხვილი საწარმოების ხვედრითი წონა 3,4%–ს, საშუალო საწარმოების – 7,3%–ს, ხოლო მცირე საწარმოების ხვედრიწონა – 89,3%–ს შეადგენდა.

ბიზნესის ეტეპობრივი განვითარება და საბოლოოდ ეფექტიანი მართვა მცირე ბიზნესის წახალისებით იწყება. მცირე მეწარმეობის ჯერ კიდევ სუსტი როლი მნიშვნელოვანწილად შესაბამის პრობლემებს განაპირობებდა ქვეყნის ეკონომიკაში – საქალაქო დასახლებებში უმუშევრობის ოფიციალური დონე ჯერ კიდევ ძალზე მაღალი იყო და 26%–ს შეადგენდა, მინიმალური ხელფასი ნორმატიული ხელფასის მხოლოდ 32,2%–ს შეადგენდა, საექსპორტო პროდუქციაში კი ყველაზე მაღალ ნიშნულს შავი ლითონების ჯართის ხვედრიწონა აღწევდა და ადგილობრიივ წარმოებაში არ აღინიშნებოდა მეცნიერებატევადი წარმოების მინიმალური მონაწილეობაც კი.

2005 წლამდე მოქმედი საქართველოს კანონი "მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდჭერის შესახებ" სრულად ვერ შეესაბამებოდა ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს. მასში, მიზანშეწონილი იყო, უფრო კონკრეტულად აღნიშნულიყო საგადასახადო ბერკეტები, შესაძლო მზარდი მოთხოვნები საფინანსო რესურსებზე, სახელმწიფო გარანტიები და ინტელექტუალური დახმარების სფეროები. აუცილებელი იყო, უფრო გასაგები გამხდარიყო მცირე საწარმოს გაგებაც. იგი უნდა განსაზღვრულიყო არგუმენტირებულად შერჩეული ერთი მაჩვენებლით და არა შენარჩუნებული ორი მოთხოვნით, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, შეუსაბამობებს და გართულებულ გაუგებრობებს იწვევდა.

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობა უკვე აკონკრეტებს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის საწარმოებს და მიკრო საწარმოებს (30 ათას ლარამდე შემოსავლით წელიწადში) საერთოდ ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახადისაგან, ხოლო მცირე საწარმოებს (100 ათას ლარამდე წლიური შემოსავლით) უწესებს მხოლოდ 5%–იან საშემოსავლო გადასახადს და, გარკვეულ შემთხვევებში – შემცირებულ 3%–საც კი.

არსებითი შეღავათებია, რაც თითქმის ემთხვევა ჩვენს დასაბუთებულ შემოთავაზებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის წარმოებულ

ადრეულ კვლევებში. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამიტომ, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ საქართველო მოიხსენება, როგორც ამ გადასახადების თავისუფლების მხრივ მსოფლიო ეკონომიკაში ერთ–ერთი სამაგალითო ქვეყანა, თუმცა, როგორც აღინიშნა, მცირე ბიზნესის საგადასახადო შეღავათები ნაკლებეფექტური აღმოჩნდა ახლაგაზრდა სახელმწიფოში სხვადასხვა არსებითი სამართლებრივი გადაცდომების მომრავლების გამო.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 90–იანი წლების დასაწყისში დასაბუთდა საგადასახადო განაკვეთების სამსაფეხურიანი სქემა: პირველ ეტაპზე მთლიანი ამონაგების 0,5%, მეორეზე – 1,0%–დან 1,5%–მდე და, საბოლოო ჯამში, 3–6 %–მდე, რაც ჩვენს კონკრეტულ გაანგარიშებებსა და ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნებოდა.

რაც შეეხება ძირითად კაპიტალის ზომითი სტრუქტურის (კონცენტრაციის) ეფექტიანობას, ჩვენი გაანგარიშებით, უმაღლესი უკუგებით სწორედ ყველაზე მცირე საწარმოები გამოირჩევიან (100 ათ. აშშ დოლარამდე ძირითადი წარმოებრივი კაპიტალითა და მისი უკუგების რეკორდული იდექსით 7,8–დან 8,2–მდე).

საქართველოს სინამდვილისათვის მისანიშნებელია ყოფილი სოციალისტური პოლონეთის გამოცდილება, რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობიდან და მიმდინარე რეფორმების სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უკვე კარგახანია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ევროკავშირის წევრია. აღნიშნული ქვეყნის მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში დასაქმებულია მომუშავეთა თითქმის 70% და მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარი იქმნება. აქ მიკროდ (ძირითადად მომსახურების სფეროში) მოიაზრება საწარმოები 10 მომუშავემდე, ხოლო საშუალო საწარმოდ – 250 მომუშავემდე. შექმნილია საწარმოთა განითარების სააგენტო, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის კრედიტებით ფინანსდება სპეციალური ფონდები, საწარმოებს, ბიზნესგეგმების გარანტირებულ საფუძველზე, შეღავათიანი კრედიტები და, შემდგომ თავის გამოჩენის შემთხვევაში, მნიშნელოვანი გრანტებიც (ფინანსური ჯილდო) ეძლევათ.

ინვესტორების საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეობის წახალისების მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომლის მექანიზმები მრავალფეროვნად გამოიყენება აშშ–ში, დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ასევე, გარკვეულწილად, პოსტკომუნისტურ და სხვა ე.წ. განვითარებად ქვეყნებშიც, რომელთა მთავრობებისათვის მისანიშნებელია, რომ მიზანშეწონილია, ძალზე ხელსაყრელად დავნერგოთ ე.წ. საერთაშორისო ბიზნესაქტიურობის წამახალისებელი "წერტილოვანი" თავისუფალი ზონების პრაქტიკა, რაც, ფაქტიურად, მიკრო ბიზნესზე ჩვენში გავრცელებული და მსოფლიოში აღიარებული შეღავათების გავრცელებას ნიშნავს გარკვეულ საწარმოებზე ეკონომიკის სრუქტურის ეფექტიანობის არსებითი ზრდის აუცილებლობებიდან გამომდინარე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე საგადასახადო განაკვეთი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ამძრავია, თუმცა, ზედმიწევნითმა ლიბერალიზებამ, კაპიტალდაბანდებათა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რისკის, ეროვნული ეკონომიკის სუსტი კონკურენტუნარიანობისა და მემკვიდრეობად დატოვებული მწვავე სოციალური პრობლემების გამო, შესაძლოა, მხოლოდ ხელი შეგვიშალოს სტრუქტურული რეფორმებისათვის საჭირო თანხების მობილიზებაში.

ზემოხსენებული "წერტილოვანი" ზონების ლიბერალურ სოვრცეში, მიზანშეწონილია, ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის თითქმის ნახევარი ჩაერთოს. მოსამზადებელ ეტაპზე, საქართველოს მაგალითით, ხელი უნდა შევუწყოთ ისეთი დარგების განვითარებას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მოკვდავი ადამიანის ფიზიკური არსებობა, მ.შ. მემარცვლეობა, მესიმინდეობა (საწყისმა შეფერხებებმა არ უნდა შეგვაშინოს), მევენახეობა და რძის პროდუქტების წარმოება, მასიური მცირე ენერგეტიკა (მ.შ. ქალაქად) და სამშენებლო ინდუსტრია შესაბამისი მასალების წარმოებასთან ერთად; მეორე ეტაპზე – სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებასა და ეფექტიანობის ამაღლებას უნდა შევუწყოთ ხელი, კერძოდ, მცირე მეწარმეობის ისეთი დარგები წავახალისოთ, რომელთათვისაც საქართველოში ისტორიულად და გეოგრაფიულად საუკეთესო პირობებია შექმნილი: განათლება,

კულტურა და სპორტი, ტურიზმი (ძალზე კარგია, რომ ამ მხრივ, პირველი ეტაპის პარალელურად, მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე დაიწყო) და ვაჭრობა, სუბტროპიკული და ზღვის პროდუქტების გადამუშავება; დამამთავრებელ ეტაპზე, შესაძლებელი იქნება მეცნიერებატევადი დარგების მსოფლიო დონეზე განვითარება, მ.შ., უპირველესად, მიკროელექტრონიკა და ორიგინალური მცირე და საშუალო სასოფლოსამეურნეო მექანიზაცია უნდა მოვიაზროთ.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საბიუჯეტო უზრუნველყოფის მაჩვენებელი ერთ სულზე 1000 დოლარს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე საშუალომსოფლიო დონეს (უკვე დაახლოებით 10000 დოლარი, რაც საქართველოს პოტენციალს არსებითად ჩამორჩება) გადააჭარბებს, უფრო მასიურად შეიძლება ვიფიქროთ უფასო საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის ცენტრების შექმნაზე, განსაკუთრებით, ახლა უკვე ნაკლებადდასახლებულ მაღალმთიან სოფლებშიც, ამასთანავე, საშუალება მოგვეცემა დასაშვებ ფარგლებში წავახალისოთ მცირე ოჯახური ბიზნესის ისეთი მომგებიანი საექსპორტო სფეროები საქართველოში, როგორებიცაა მინერალური წყლების, თაფლისა და თხილის წარმოება და მათი რეალიზების ორგანიზება.

წარმატებული საერთაშორისო მენეჯერი, ბუნებრივია, კარგი ორგანიზატორი უნდა ბრძანდებოდეს და, შესაბამისად, თანამშრომელთა სასარგებლო მოქმედებისათვის მოტივაციის საუკეთესო მექანიზმებითა და სასიკეთო ფსიქოლოგიური გავლენით, უნდა ახერხებდეს მიზანმიმართულად წარმართოს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შესაძლებლობები.

მოტივაციის თეორიები უმთავრესად ცდილობს განაზოგადოს მოთხოვნილებები, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებს ადამიანების მოქმედებებს, განსაკუთრებით, პროფესიის არჩევისა და სამუშაოს შინაარსისა და შესაძლო ოდენობის განსაზღვრისას.

ახალი (მნიშვნელოვანწილად ჰარმონიზებული) მსოფლიოს გონიერი მენეჯერები, ხშირ შემთხვევაში, მეტად წიგნიერი დიდი მოაზროვნეებიც უნდა იყვნენ. ამ მხრივ, სამაგალითოა საქართველოს ისტორიული გაკვეთილები (დიდი დავით აღმაშენებელი, ფინანსისტი შოთა რუსთაველი, სამართალმცოდნე ვახტანგ მეექვსე და სხვ.),

თანამედროვეობის ამერიკელი პრეზიდენტების (მათ შორის ბ. ობამასა და რ. რეიგანის მრავალმხრივი საქმიანი თვისებები, რაც ძალზე შედეგიანად გამოადგათ პოლიტიკაში მშვიდობის დასამყარებლად ძალზე სახიფათოდ მომრავლებული ტერორისტული რეჟიმებისა და დაჯგუფებების გარემოცვაში), მრავალმხრივი მორგანებისა და როკფელერების დინასტიები, საყოველთაოდ ცნობილი "ჯენერალ ელექტრიკის" ე.წ. ნეიტრონული დოქტორი ჯეკი (ჯ. უელჩი), თანამედროვე სოციალური "ფეისბუქისა" და კომპიუტერული "მაიკროსოფტის" თავის დროზე ახალგაზრდა საქმიან მოღვაწეთა გუნდები (ფეისბუქის ქსელური კონტაქტების მექანიზმი ნამდვილად უნიჭიერესი გამოგონებაა მასობრივი საზოგადებრივი კონტაქტებისათვის, რაც არასაზიანოდ და საქმიანად უნდა გამოიყენოს ადამიანმა, კომპიუტერის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია და აქ აღარ შევჩერდები) და მეცნიერებატევად ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებული მანქანათმშენებელი და ნავთობქიმიის სხვა გიგანტები. ზოგიერთ მათგანს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, საწყისი უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ მათ საქმეს წარმატება მხოლოდ მრავალმხრივმა ნიჭიერებამ, შემდგომმა სწავლებებმა და, შესაბამისად, სპეციალური მათემატიკური ალგორითმების ცოდნამ და მუდმივად სრულყოფადმა კომპიუტერულმა პროგრამებმა მოუტანა. დანარჩენი ფორმალური შემთხვევითობებისა და ადამიანების მოწესრიგებული ქცევისა და საქმიანობის შემდგომი განვითარების შედეგია. მხოლოდ კარგი ცოდნაა იმ ნამდვილი წარმატების საფუძველი, ყველას რომ გვინდა გლობალური კონკურენციისა და კიბერტექნოლოგიების ეპოქაში.

გამოყენებული წყაროები:

1. ილია მეორე: ყოველდღე უნდა ვიკითხოთ წიგნები და ბედნიერი ვიქნებით. - ქართული ინტერნეტ-გამოცემა „timer.ge“, 06-2013, 14-34.

2. Obama B. The Audacity of Hope: Thoughts on Reclaiming the American Dream. New York, 2006.

3. Ivanishvili B. - http://en.wikipedia.org/wiki/Bidzina_Ivanishvili

4. Gates B. Business @ the Speed of Thought. - http://en.wikipedia.org/wiki/Business_@_the_Speed_of_Thought

5. О космосе: Бывшие враги Россия и США будут совместно работать над ядерным оружием для предотвращения угрозы астероидов http://inopressa.ru/article/17oct2013/dailymail/asteroid.html

6. Россия — США: дружба неизбежна? (выступление Владимира Путина на Нью-Йоркской фондовой бирже). - http://directorinfo.ru/article.aspx?id=13537&iid=578

7. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი. - თბილისი, 2011.

8. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. - თბილისი, 2010.

9. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. - თბილისი, 2006.

10. აბესაძე რ. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა. - თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული: ეძღვნება აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან მე-100 წლისთავს, 2012, V, გვ. 7-14.

11. მესხია ი. ჯალაღონია დ. ბუღალტრული აღრიცხვა. - თბილისი, 2006.

12. Pavliashvili S. Zigzags of inflation in post-soviet Georgia. – Silicon Valley, CA, 2011.

13. ჯიბუტი მ. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი. - თბილისი, 2003.

14. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი). - თბილისი, 2014.

15. ბარათაშვილი ე. და სხვ. ინოვაციების მენეჯმენტი. - თბილისი, 2008.

16. ამყოლაძე გ. ამყოლაძე ი. ლომსაძე-კუჭავა მ. ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები. - თბილისი, 2011.

17. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (რედ. ნ. პაიჭაძე). - თბილისი, 2009.

18. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. – თბილისი, 2007.

19. ლორთქიფანიძე რ. გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. - თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული გვერდი „ივერიელი“, ქაშვეთში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით, 2014, 138 გ. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377

20. ლორთქიფანიძე რ. მენეჯმენტი სინათლის სიჩქარით (სამართლიანი კონკურენციისათვის ჯანდაცვის პერსონალის მაგალითზე). – თბილისი, 2014, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/38131

21. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. - თბილისი, 2013, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11421

22. ქორელი ა. სასწაულების წყურვილი. - თბილისი, მეცნიერება, 1988.

23. Наука и жизнь, 1972, N10.
24. http://en.wikipedia.org/wiki/Wonder_(emotion)
25. Keltner, D.; Haidt, J. (2003). *Approaching awe, a moral, spiritual, and aesthetic emotion. Cognition and Emotion. -* http://faculty.virginia.edu/haidtlab/articles/keltner.haidt.2003.approaching-awe.pub028.pdf
26. Ohm's law. - http://en.wikipedia.org/wiki/Ohm%27s_law
27. Georg Ohm. - http://en.wikipedia.org/wiki/George_Ohm
28. Martin Ohm. - http://en.wikipedia.org/wiki/Martin_Ohm
29. Golden ratio. - http://en.wikipedia.org/wiki/Golden_section
30. ლორთქიფანიძე რ. ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2012, N1, გ. 17-18; ლორთქიფანიძე რ. განმარტებები კონკურენციის კანონის, ევროკომისიის ფორმულის განვითარებისა და მაკროსტაბილურობის სტრატეგიულ საკითხებზე. - http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1374%20
31. Lordkipanidze R. We must think for new effective economic system. - The New Economist, 2013, № 1, P. 63-64 (In English).
32. Horizontal Merger Guidelines. - http://www.justice.gov/atr/public/guidelines/hmg-2010.html
33. http://en.wikipedia.org/wiki/Albert_Einstein
34. http://www.all-fizika.com/article/index.php?id_article=2152

35. ლორთქიფანიძე რ. მენეჯერული ხარჯები ჯანდაცვაში. - თბილისი, 2013, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11405
36. The State in a changing world. - World development report, Published for the World Bank, Oxford University Press, 1997.
37. Economy of the United States, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_US
38. Economy of Switzerland, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Switzerland
39. Economy of Georgia (country), http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Georgia_(country)
40. Economy of China, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_china
41. The World's Biggest Companies. http://www.forbes.com/sites/scottdecarlo/2013/04/17/the-worlds-biggest-companies-2/
42. http://en.wikipedia.org/wiki/World_economy
43. http://en.wikipedia.org/wiki/Cybernetics
44. მსოფლიო ეკონომიკა: შოთა ვეშაპიძე, ამბროსი გრიშიკაშვილი, ეკა ლეკაშვილი, ნანა ასლამაზაშვილი ; [მთ.რედ. ნ. თურნავა]. - თბილისი, 2008.
45. როლანდ სარჩიმელია http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90
46. http://en.wikipedia.org/wiki/Technology
47. http://en.wikipedia.org/wiki/Competition